შეფასების სქემა წერილისთვის / მასწავლებლები, 2019

ქულა	აღწერა
6	ნაწერი **ძალიან კარგია**. ამომწურავად პასუხობს დავალების მოთხოვნებს*. გამოყენებულია მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა; სრულად არის დაცული წერილის **ფორმატი*** და ოფიციალური ენის **სტილი***. შეცდომები არ არის, ან მინიმალურია. არგუმენტირება ძალიან კარგია.
5	ნაწერი **კარგია.** პასუხობს დავალების მოთხოვნებს. გამოყენებულია კარგი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; ძირითადად დაცულია წერილის **ფორმატი*** და ოფიციალური ენის **სტილი***; შეცდომები უმნიშვნელოა. არგუმენტირება კარგია.
4	ნაწერი **საშუალო დონისაა**. ძირითადათ პასუხობს დავალების მოთხოვნებს, თუმცა ერთ- ერთი პასუხი არასრული ან მოკლეა. გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი** თანმიმდევრული არ არის; შეცდომები ცოტაა. ან: <u>გაცემულია პასუხი მხოლოდ ერთ შეკითხვაზე.</u>
3	ნაწერი **საშუალოზე დაბალი დონისაა**. დავალების მოთხოვნებს ზოგ შემთხვევაში არ პასუხობს (მოცემულია არასრული და/ან ზედმეტი ინფორმაცია). გამოყენებულია **მარტივი** გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი,** ზოგ შემთხვევაში, არ არის დაცული; შეცდომები თვალშისაცემია. <u>ან: ხშირია ზოგადი დაზეპირებული ფრაზები. არგუმენტირება სუსტია.</u>
2	ნაწერი **სუსტია.** დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს (მოცემულია ძალიან მწირი და/ან ბევრი ზედმეტი ინფორმაცია). გრამატიკა და ლექსიკა **მეტად მარტივი** და ერთფეროვანია; ლოგიკურ-სტრუქტურული მაკავშირებლები არ არის. წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი,** უმეტესწილად, არ არის დაცული; შეცდომები ხშირია. ან: ენობრივად კარგია, მაგრამ დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს. <u>ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი, დაზეპირებული ტექსტი, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. შეიძლება წავიდეს ნებისმიერი სახის დავალებაზე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია მხოლოდ დასაწყისში და/ან ბოლოში. შეცდომები არ არის.</u>
1	ნაწერი **ძალიან სუსტია** და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 წინადადება და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი და დაზეპირებული, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ტექსტი შეიძლება წავიდეს ნებისმიერი სახის დავალებაზე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, ან საერთოდ არ არის ნახსემები. <u>არის ლექსიკური და გრამატიკული შეცდომები.</u>
0	ნაწერი არ პასუხობს დავალებას ან ფურცელი ცარიელია ან აზრის გაგება შეუძლებელია.